

# გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკო“ Environmental Community Organization "ECO"


გ. სალუქვაძის ქ. #13, ოზურგეთი, 3500, საქართველო; მობ.: +995 551 593952  
#13 G. Saluqvadze Street, 3500 Ozurgeti, Georgia; Mob .: +995 551 593952

N 5

2024. 30.06

შენიშვნები და რეკომენდაციები კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა-შპს პარვუს ბასრა მდინარე ბუყუას ხეობაში ბასრა1, ბასრა2, ბასრა3, ბასრა4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდასა და ქსელაზე დაერთების პროექტის სკოპინგის ანგარიშისა. კომპანიამ საჯარო განხილვა ჩაატარა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლის შენობაში, ამაწლის 26 ივნისს.

1. როგორც თავად კომპანია აღნიშნავს სკოპინგის ანგარიშში, თავდაპირველად კომპანიამ დაიწყო " ბასრა " 1, " ბასრა" 2 და " ბასრა 3" მცირე ჰესის (თითოეული 2 მგვ- მდე) სიმძლავრის ჰესების მშენებლობა. კომპანიამ და ჰესების კასკადის მშენებლობა დაიწყო ისე, რომ არ მოგვაწოდა საზოგადოებას და ადგილობრივი თემის მოსახლეობას არც გარემოსდაცვითი კვლევები, არც წყლის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია და ა. შ. არც სხვა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ ჯამში სამივე ჰესის სიმძლავრე 6 მგვ-მდე იყო, კვლევების ჩატარებლობის მიზეზად დასახელდა ის, რომ მცირე სიმძლავრის ჰესის პროექტი (2 მეგავატი) არ საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი პროცედურების გავლასს. მაშინ როდესაც ჯამში სამივე ჰესის 6 მგვ მდე იყო. ამ ეტაპზე ამ ჰესების მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და კომპანიამ ამა წლის 3 ივნისს მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს უკვე ზემოთ ჩამოთვლილი ჰესების სიმძლავრეების გაზრდის, , ასევე " ბასრა" 4 ჰესის დამატების და, სიმძლავრეების გაზრდისა, ასევე ქსელზე დაერთების მოთხოვნით და სკოპინგის ანგარიშში წარადგინა, სადაც სიმძლავრეების გაზრდის მიზეზად დაასახელა შემდეგი: „ საკვლევ რეგიონში დაიწყო 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ ოზურგეთი- ზოტიჰესის“ " მშენებლობა ( გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება( N2-1078; 12/11 2019), რამაც შესაძლებელი გახადა გაიზარდოს „ ბასრა ჰესების“ დადგმული სიმძლავრის გენერირებული ელექტროენერგია ჩაირთოს „ ოზურგეთი- ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში.“ არადა როცა კომპანიამ დაიწყო შერჩეულ არეალში მცირე ჰესების მშენებლობა, ზემოთ აღნიშნული გადამცემი ხაზის ექსპლუატაცია დაწყებული იყო და შეუძლებელია, ამის შესახებ კომპანიას არ სცოდნოდა. ჩვენ თავიდანვე გვქონდა დიდი ეჭვი, რომ კომპანიამ ხელოვნურად, თაღლითურად დაანაწევრა ჰესების კასკადის პროექტი მცირე სიმძლავრეებად, რათა თავიდან აერიდებინა გარემოსდაცვითი კვლევები, საჯარო საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები და უკვე ჰესების მშენებლობის დასრულების ეტაპზე მიემართათ სააგენტოსთვის სიმძლავრეების გაზრდისთვისა და საჯარო განხილვებიც ნაუცბათევად ჩაატარონ. აღნიშნულის შესახებ, გთხოვთ, დამატებით იხილოთ „გურია ნიუსის“ 2023 წლის 20 სექტემბრის სტატია: „მოვუწოდებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის



დეპარტამენტს, შეამოწმოს კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოები“. ასევე გარემოსდაცვითმა ორგანიზაცია ეკომ მიმართა ეროვნულ სააგენტოს კომპანიის საქმიანობის კანონიერებასა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ამაწლის 11 იანვარს

2. არც საწყის ეტაპზე და არც სიმძლავრეების გაზრდის მოთხოვნის ეტაპზე, კომპანიას არ წარმოუდგენია წყლის ეკოლოგიური ხარჯის გათვლები. კერძოდ: როგორ აპირებენ სიმძლავრეების გაზრდას? რა რაოდენობის წყალს დატოვებენ ეკოსისტემის საარსებოდ? სკოპინგის ანგარიშში არსად არაფერია წყლის ხარჯის შესახებ. მნიშვნელოვანია სკოპინგის ეტაპზე დაზუსტდეს, თუ რა მეთოდოლოგიით და რა ფაქტორების გათვალისწინებით მოხდება შემდგომში მდინარის ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის შეფასება. კომპანიას საერთოდ არ ააქვს წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება იქონიოს წყლის ხარჯის შემცირებამ მდინარის ეკოსისტემასა და მრავალფეროვნებაზე.

3. მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნას მდინარე ბჟუჟას ან ამ მდინარესთან დაკავშირებული სახეობების და ეკოსისტემის საჭიროებები, რათა პროექტის განხორციელებამ არ გამოიწვიოს გამოუსწორებელი ზიანი, მითუმეტეს როცა გეგმაშია ჰესის დამატება და არსებულის სიმძლავრეების გაზრდა 30 მგვ- მდე.

4. ასევე, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნას ევროკავშირის წყლის ჩარჩო- დირექტივების მიდგომები: გარემოსდაცვითი ხარჯის შესაბამისობა წყლის ობიექტის ბუნებრივი ხარჯის დინამიკასთან- მდინარის ბუნებრივ კალაპოტში გასატარებელი გარემოსდაცვითი ხარჯი უნდა შედგებოდეს არა ერთი და იმავე სიდიდის ეკოლოგიური ხარჯისაგან მთელი წლის განმავლობაში, არამედ სხვადასხვა მონაკვეთში მდინარის ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების თავისებურებებისა და მიმდებარე ჰაბიტატების საჭიროებების გათვალისწინებით. არანაირი კვლევა, წყლის ეკოლოგიური ხარჯის შეფასება, ხარჯი სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.

5. რადგან ანგარიშში არ არის ეკოლოგიური ხარჯის შეფასება, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვება და კვლევა, წარმოდგენილი თევზსავალის ტიპებიც საეჭვოა და გაურკვეველი. რატომ არის ასეთი ტიპის და არა სხვა სახის თევზსავალი შემოთავაზებული.

6. კომპანია ბიომრავალფეროვნებაზე უმნიშვნელო ზემოქმედებას პროგნოზირებს და ამას სათანადო კვლევებისა და შეფასებების გარეშე ახდენს. მდინარე ბჟუჟას ხეობა გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით და ზედაპირულად წინასწარი პროგნოზირების გაკეთება შესაფერისი დაკვირვებებისა და კვლევების გარეშე არის გარემოსდაცვითი კანონების დარღვევა.

7. სკოპინგის ანგარიშში არ არის ინფორმაცია საპროექტო არეალის გეოლოგიურ-სეისმურ კვლევებზე და სტიქიური მოვლენების განვითარების რისკებზე. მდინარე ბჟუჟა არის ღვარცოფებით და მოვარდნებით ცნობილი და ასევე, რთული გეოლოგიური მახასიათებლების მქონე ხეობა.

გთხოვთ პასუხი მაცნობოთ ელექტრონულად, ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტაზე

გთხოვთ, პასუხი გვაცნობოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით  
gordeladzeirma2@gmail.com

პატივისცემით,

ირმა გორდელაძე,  
თავმჯდომარე

